№ 89

პარასკევი, 30 აპრილი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 89

პარასკევი, 30 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შაბათს, 1 მაისს, დილის ათს საათზედ, სიონის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელოთა: ლეონიდის, გორის ეპისკოპოსის და კირიონის, ალავერდის ეპისკოპოსის მიერ, სამღვდელო კრებულითურთ, შესრულდება წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა ცნობილის გმირის

## გივი ამილახვარისა,

რომლის შუამდგომლობით და დაუვიწყარის ღვაწლით დაცულ იქმნა სიონის საკათედრო ტაძარი მეჩეთად გარდაქცევისაგან.

(2—უ.—1).

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება **7** მან. **25** კაპ.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოოზის ქუჩა, **№ 21.**

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ც. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჩ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გუკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელის, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს. მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—34)

## „შუამავალი“

ამხანაგობის მაღაზია გადადის თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (10—6.—4)

### მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა ორდენი წმ. სტანისლავის მესამე ხარისხისა დაბა ზუგდიდის დეპუტატს დიმიტრი ყვანიას.

## ახალი ამბავი

*** 28 აპრილს კავკასიის გრენადერთა არტილერიის უფროსმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ გამართულ იქმნას გზა-ტკეცილი მტკვრის მარჯვენა მხარეს ვერის ხიდიდგან იმ ადგილამდე, სადაც ჯარის ბანაკებია ხოლმე.

*** ამ დღეებში პეტერბურგიდგან ჩამოსული ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი ბ-ნი სვეჩინი 27 აპრილიდგან უკვე შეუდგა თავისს თანამდებობის აღსრულებას.

*** 9 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილება ახალქალაქსა და ახალციხეში მიდის სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. სესია ამ ქალაქებში 20 მაისამდე დაჰყოფს.

*** ქალაქის გამგეობის გუშინდელ კრებაზედ გამგეობის წევრი თავადი არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეეკითხა კრებას: რა ფასად უნდა გაიყიდოს ის აგარაკი, რომელიც ბორჯომში იმყოფება და რომელიც განსვენებულმა აბესალომოვმა უანდერძა ქალაქსაო. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს საკითხი, და იხელმძღვანელა რა იმითი, რომ ამ მამულს წელიწადში 700 მანეთი შემოაქვსო, დაადგინა: ბორჯომის აგარაკი 20 ათას მანეთად გაიყიდოსო.

*** შაბათს, პირველ მაისს, საპიოროს ქუჩაზედ, ისარლიშვილის სახლში მორიგი კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო, სამკურნალო საზოგადოებას. ამ კრებაზედ წაიკითხავენ მოხსენებებს ექიმები მ. ა. გედევანიშვილი და მ. პ. კიმანდტი. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** როგორც გაზ. „კავ.“ სწერენ, ტფილისის მაზრის სოფ. ხატის-თელეთსა და წყნეთის მინდვრებში კალია გაჩენილა.

*** როგორც „ახ. მიმ.“-სატყობინებენ, კახეთში ვაზს რაღაც მავნე მწერი გაჩენია, ეს მწერი დიდ ზარალს აყენებს თურმე ვაზს.

*** სამეგრელოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობის კრება დანიშნულია დღეს, 30 აპრილს, დილის 10 საათზე, დაბა ძველ-სენაკში. განსახილველია შემდეგი საგნები: დამტკიცება წარსულ წლოა ალებ-მიცემობის ანგარიშისა; არჩევა კომისიისა, რომელმაც უნდა შეადგინოს ამხანაგობისათვის ახალი წესდება, მთავრობის მიერ გამოცემულ სანიმუშო წესდებასთან შეფარდებით; არჩევნები ამხანაგობის გამგეობის წევრთა, შეძენა ადგილისა გამგეობის და პარკის სახჩობ-სახმობის მოსათავსებლად.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“-ის სიტყვით, დაბა სამტრედიას პოსადად გადაკეთებას უპირობენ.

*** საქართველოს სამხედრო გზის სადგურ დუშეთისა და ანანურის შუა შემდეგი კაცის კვლა მომხდარა. მკვლელობის წინა დღით ტფილისიდგან დუშეთში მისულა ინჟენერი ნოაკოვსკი, რომელსაც ჯერ ისევ ტფილისის სადგურზე მოსამსახურენი გაენცვიფრებინა თავისის ქცევით. გასცდა თუ არა ნოაკოვსკის ეტლი დუშეთს, რამდენისამე ხნის შემდეგ გულ-გახეთქილი მეეტლე უკანვე მოიჭრა და სადგურის უფროსს შეატყობინა, რომ მგზავრი ეტლიდგან გადმომხტარა, და სადღაც დამალულაო. ესევე შეატყობინეს სამაზრო პოლიციას, რომელმაც მალე იპოვნა ინჟენერი ნოაკოვსკი და დუშეთში მოიყვანა. აქ მას ბევრი ურჩიეს ტფილისშივე დაბრუნდიო, მაგრამ არავის არ დაუჯერა და ეტლი მოითხოვა. რადგანაც შეატყეს, რომ კაცი ავად არისო, ეტლში (კარეტაში) გზის კონდუქტორი კოლაჩევიჩი ჩაუსვეს ყურის საგდებლად და კვლავ გაისტუმრეს ანანურისაკენ. გზაში რა მოუვიდა ინჟენერსა და მისს თანამგზავრს კონდუქტორს, არავინ არ იცის. მხოლოდ შუა გზაზე მეეტლეს სამჯერ მოესმა რევოლვერის ხმა ეტლიდგან. მეეტლემ ცხენები გააჩერა, გადმოხტა კოფოდგან და, როდესაც ეტლის კარები გამოაღო, დაინახა სისხლში მოცურავე მგზავრები. კოლაჩევიჩს ორი ტყვია ჰქონ-

## ფელეტონი

### ბებია ხვარამზე

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

**II**

— გადიკითხე წუხელის ი ზაკონის კანონები, შენი ჭირიმე, კნიაზო?—გულის აჩქარებულის ფანცქალით ჰკითხა მეორე დილით ქუდ-მოხდილმა აბრიამ ნადიამბეგარს რეზიკოს, რომელიც მარტოკა იჯდა ქართველი, თავადიშვილის გემოვნებაზედ მორთულს ოთახში და ჩაის შეექცეოდა და თანაც დრო-გამოშვებით გძელტარა ჩიბუხს აბოლებდა დარბაისლურის სიწყნარითა და დადინჯებულ სახე-თვალების გამომეტყველებით.

— გადვიკითხე, მა რას ვიზამდი: თავში თუ არა შადის-რა, თავიდამ არცარა გამოვა,—იცრუა ნადიამბეგარმა, რომელსაც „ზაკონის“ წიგნი კი-არა, იესო-ქრისტეს სახარებაც აღარ აგონდებოდა წუხელის.

— ი შენს ღმერთს კი ვენაცვალე ი გამჩენში! და ძმერე, შენი ჭირიმე, რა ჰწერია: გვეშველება რამე?—მოუთმენლად ჰკითხა სიბერითა და გულის მღელვარებით ხელებ აცახცახებულმა აბრიამ.

— ოო, ძალიან ძნელად, ძალიან ძნელად, მოხუცო. შენს შვილს ორში ერთი: დახრჩობა ან ციმბირი არ ასცდება, როგორც ცოდვილს-ჯოჯოხეთი, თუ...

— თუ რაღა, შენი კვნესამე?

— თუ მიროვი სუდიას და ოკრუჟნოი სუდის ჩლენებს როგორმე.. ხელში არ დავიჭერთ.

— შე დალოცვილო-და, აკი მეც ემაგიტო მოგატანე ხემწიფი-სადარ კაცს, რო ყველა დიდ-კაცებთან გავ ლენიანი ჰბძანდები და ისინი შენ თხოვნას ძირს არ დაუშვებენ. განა, შენი ჭირიმე, გლეხი რო ვარ, იმთენიც აღარ მესმის და მეყურება, რო ქვეყანას შენა ჰშველი-რა. შენ რაღა არ შაგიძლიან, თუ კი მაიწადინებ, თუნდა დალმა მიმავალ ალაზანსაც აღმა მიაბრუნებ. აგეთ ქვეყნის ამომგდებ, ჩვენებურ ქორისას და ყაჩადად გავარდნილ, ყოპახჩოელს მურთუზალიასაც შენ არ იფარავ შენ კალთაჰ ქვეშ. ნათქვამია: ფრინველი ბუმბულით იცნობა, კაცი საქმითო, ჩვენც საქმით გიცნობთ, შენი ჭირიმე და აკი მეც იმიტო შენ მოგატანე. დახარჯე ორიოდე ჰკვა-მადლიანი სიტყვა ჩვენთვინაც, გახდი ჩვენი მეორე მფარველი ღმერთი. გვიწამლე რამე, რო დაგვიბრუნდეს სახლშივე ჩვენი შამნახველ-დამმარხველი გიგია, და რა ვიცი, რასა მთხოვ იგეთს, რო მქონდეს და არ მოგართვა. რო მიბძანო: სული ამაირთვი და ისიც მამეო, იმასაც მოგართმევ და შენ სანთელ-საკმლად დავიწვები, შენი კვნესამე, ოღონდ კი გვიშველე რამე შენ სადღეგრძელოდ და გიგიას შვილიშვილებისაგანაც კი შენი სულის ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად!..

— არა, მამილო, მე არც შენი სული მინდა, არც ფული. რაც გითხრა, ..ის ამისრულე და გიგი ისევ მალე სახლში დაგიბრუნდებათ.

— მიბძანე, შენი დალოცვილი ენაპირის ჭირიმე, მიბძანე.

— გამიგონია, რომ შენ ძალიან ლამაზი, გალათხოვარი ქალი გყავს. მე, გეცოდინება, სამი ცოლი მყავნდა, სამნივ აჩქარდნენ: სამოთხის კაი კუთხე-კუნჭულები სულ სხვებმა არ დაიჭირონო, რისგამოც სამთავ საიქიოს გუდა-ნაბადი აიკიდეს და დამაგდეს ეგრე უპატრონოდ. ესაც კარგად იცი, ჩემო მამილო, რო მეოთხე ცოლი აღარ მერგება, ღმერთმა რა უყოს ასეთ კანონს! და მოდი რაღა აქათა და იქით, მე შენ ერთ კაი სიტყვას გეტყვი და ვიცი შენც მოგეწონება: შენი ქალი ხასად დამივი და ბოლოს მევე გავათხოვებ კაი ქრთამითა და მზითევით. აი თუ ასე მოიქცევი, მაშინ იცოდე: შენი კოჭი ალჩუ დაჯდება, რადგანაც სუდის მოსამართლეები ჩემი კაი მეგობრები არიან და, ხო იცი, მეგობრობას ბევრი რამ შეუძლებელიც შეუძლიან...

— აი შენ-კი გენაცვალე მა ქრიჭტეში და მა ენა პირში! როგო არ ვიცი, შენი ჭირიმე, განა იგეთი რეგვენიც ვარ-რა: მეგობრის მეგობრობითაკ კაცი კაცის წამალიაო, ადამიანს ადამიანის მოკვლაც შაუძლიან, გაცოცხლებაცო. და მე ხო მაგ მოწყალების ღირსიც არა ვარ, კნიაზო, რო ჩემი ქალი ხასად დაისვა. ეგეთი უბედურობა რო არ გამმოგვარდნოდა, უნდა დაგვენიშნა ი ჩემი გოგო; ხო მოგეხსენება გლეხური ანდაზა: შამოსულ ყანას ნამგალი უნდა და ასაკ-მოსულს გოგოს გათხოვებაო. ეხლა ერთი ეს მაფი-

*) იხ. „ივერია“ № 88.

და მოხვედრილი, ერთი გულში და მეორე თავში, ხოლო ინჟენერ ნოაკოვსკის შიგ გულში. მათი გვამების მდებარეობა ამტკიცებდა, რომ ინჟენერს გაქცევა მოუწადინებია, მაგრამ კონდუქტორს არ გაუშვია, მაშინ ჯერ კონდუქტორი მოუკლავს და მერე თავისი თავი.

ინჟენერი ნოაკოვსკი ახალგაზრდა 30 წლის კაცი იყო და დროებით საქართველოს სამხედრო გზის მესამე დისტანციის უფროსობა ჰქონდა ჩაბარებული.

*** ს. ნოსირი, (სენაკის მაზრა). გაზაფხულს დიდის ალტაცებით მოველოდით იმ იმედით, რომ აბრეშუმის ჰიას „დავისვამთ" და რამდენსამე გროშს გამოვრჩებითო. მაგრამ იმედმა გვიმტყუნა: ბევრი სრულიად უვარგისი თესლი გასაღდა ჩვენს სოფელში და შრომამ და ხარჯმა ტყუილად ჩაგვიარა. ნეტა როდის მოვესწრებით იმ დროს, რომ ცუდი თესლის გაყიდვა აიკრძალოს კანონით! შემდეგშიაც თუ ასე მოვტყუვდით, როგორც წელს, ცუდათ იქმნება ჩვენი საქმე, რადგან მეაბრეშუმეობა ერთს უმთავრესს სახსარს შეადგენს ჩვენის ცხოვრებისას. ფულის შესაძენი წყარო იმას გარდა სხვა არ მოგვეპოვება, ხოლო ხარჯი და ათას გვარი გარდასახადი თავისას არ იშლის.

*** ჟურნალ „მოამბის" რედაქცია და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სტამბა 24 აპრილიდგან სხვა სადგომში გადავიდა, სახელდობრ ორბელიანის ქუჩაზედ, მარტიროზოვის სახლში, № 27.

*** გუშინ, 29 აპრილს, ტფილისის გუბერნატორის პოლკოვნიკის ი. ნ. სვეჩინის წინაშე წარსდგნენ გუბერნატორის კანცელარიისა, საგუბერნიო სამმართველოსა და გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს მოხელენი.

*** ქალაქის საბჭოს ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქუჩების სახელების გამოცვლა, ამთავრებს დავალებულ საქმეს. კომისიამ უკვე დაარქვა სახელები 1, 2, 3, 4, 5, 6, 8 და 10 ხაზის ქუჩებს, დარჩა მხოლოდ მე-7 და მე-9 ხაზის ქუჩები. გუშინ დღეს კრებაზედ კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა უწოდოს დიდუბეში ერთ-ერთ ქუჩას სახელად პავლეს ქუჩა სახსოვრად საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, რომელიც იმპერატორის პავლე I-ის დროს მოხდა.

*** როგორც ტფილისის საგუბერნიო მმართველობის მიერ შევსებულის ცნობებიდგანა სჩანს, 22 მარტიდგან 1 აპრილამდე ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით 1, ქუნთრუშით—2, ხუნაგით—1, წითელათი—7 და სახადით 21 კაცი.

*** გაზ. „კავკ."-ს სწერენ სიღნაღის მაზრიდგან, რომ ლაგოდეხის მახლობლად შეიარაღებულმა ლეკებმა გაძარცვეს ტფილისის სახაზინო პალატის მოხელე ყორღანოვი. ლეკებს წაურთმევიათ ყორღანოვისათვის 49 მანეთი.

*** ამ კვირია, თამამშევის ქარვასლაში „იაფი ვაჭრობაა" და იმდენი ხალხი ეტანება, ნამეტნავათ ქალები, რომ კაცი გზას ვერ აუქცევს. მოგეხსენებათ, რომ საზოგადოთ ქალები ძრიელ ეტანებიან ყოველგვარ „იაფობას"; მათ შორის ბევრი ქურდი ქალიც ურევია, რომლებიც სარგებლობენ ვაჭრების საქმიანობით და სხვა-და-სხვა ნივთებს იპარავენ, ხშირად დაიჭერენ ხოლმე ქურდობაზე ამ ქალბატონთ და გარდა იმასა, რომ ნაპარევს საჯაროთ ართმევენ, შემდეგ შეურაცხყოფასაც აყენებენ: აიღებენ ხოლმე მურს, მოუსვამენ პირზე ქურდ-ქალს და სიცილ-ხარხარით გამოისტუმრებენ ხოლმე ქარვასლიდგან.

## დავიწყებული დღესასწაული

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ეგზარხოსის, ფლაბიანეს განკარგულებით კვირაცხოვლობის შაბათს, 1 მაისს, სიონის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელოთა: გორის ეპისკოპოსის ლეონიდის და ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის მიერ სამღვდელო კრებულითურთ შესრულებულ იქმნება წირვა და პანაშვიდი ცნობილის გმირის გივი ამილახვარის (1727 წ.) და მის მემკვიდრეთა მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, ხოლო ცოცხალთა სადღეგრძელოდ. ამავე დღეს შესრულდება წირვა-ლოცვა აგრეთვე შიო-მღვიმის და ქვაშოეთის წმ. გიორგის ტაძრებში.

ამ საეკლესიო დღესასწაულის დაწესება ეკუთვნის 1727 წ. ამ დროიდგან იგი მუდამ სრულდებოდა სიონის საკრებულო ტაძარში.

სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, როდის იქმნა დატოვებული ეს კეთილ-მორწმუნოებით სავსე ჩვეულება. უეჭველია, იმ შავ-ბნელ დღეთ და უბედურებათ, რომელნიც თავს დაატყდა საქართველოს ალა-მაჰმად ხანის და ომარხანის შემოსევის გამო, მიავიწყეს საქართველოს კეთილ-მორწმუნე შვილთა ამ დღესასწაულის შესრულება.—არა ნაკლები გავლენა უნდა ჰქონოდა ამაზედ იმ შუღლსა, შფოთსა და უსიამოვნოებას, რომელიც ჩამოვარდა ორ სამეფო დინასტიის შორის: ქართლის ვახტანგ VI ს და კახეთის მაჰმად-ყულიხანის შორის, რამაც იძულებულ ჰყო ვახტანგ მეფე და მისი ბაქარი მთელის სამეფო სახლეულობით და მრავალის ხალხით გარდასახლებულიყვნენ რუსეთში ჟამსა პეტრე დიდის მეფობისასა.

დღეს, როდესაც ერთმორწმუნე ძლიერის რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოში დამყარებულია მშვიდობა, ძმური სიყვარული და სათნოება, ერთმა ღირსეულ მემკვიდრეთაგანმა, გენერალ-კავალერმა და თავადმა ივანე გივის-ძემ ამილახვარმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს წინაშე აღსადგენად ამ მივიწყებულის დღესასწაულისა. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა ჩვენმა სასიქადულო მღვდელ-მთავარმა, ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა, ალავერდის ეპისკოპოსმა, რომელმაც მიჰმართა ცალკე მოხსენებებით ყოვლად უსამღვდელოესს, საქართველოს ეგზარხოსს, ფლაბიანეს და სთხოვა, რათა აღდგინებულ იქმნეს წინანდებურად ეს საეკლესიო დღესასწაული, რადგანაც, ერთის მხრივ, მას ექმნება სარწმუნოებრივი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ერისათვის და მეორის მხრივ, როგორც ჯეროვანი პატივისცემა მართლმადიდებლობის ბრწყინვალე დამცველისა, წმ. ღვთის ტაძართა მაშენებელისა და შემამკობელისა, თავადის გივი ამილახვარის წინაშე (1689—1754 წ.); იმ გივი ამილახვარისა, რომლის თავ გამოდებულის მეოხებით და შუამდგომლობით სიონის საკრებულო ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარი მეჩეთად არ იქმნა გარდაქცეული.—„საქართველოს ისტორია, ბრძანებს თავის მოხსენებაში ყოვლად სამღვდელო კირიონი, ერთი განუწყვეტელი გრძელი მოწამებრივის ღვაწლისა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. იგი ისტორია ნამდვილი მარტიროლოგიაა ქრისტეს წმიდა ჯვარისათვის წამებულთა. ქრისტეს მონათა შორის ძნელად თუ ვინმე და სადმე სხვას უტვირთნია და შეუმოსნია ისეთი ჯვარი, როგორიც იტვირთეს და შეიმოსეს თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში ქართველებმა. იგი ჯვარი ხისგან კი არ იყო ქმნილი, ან რომლისამე ძვირფასის ლითონისა და ნივთიერებისაგან, არამედ შედგენილ იყო შეუმუსვრელის სარწმუნოებისა, ღვთის განგების მორჩილების, მამა-პაპათა ანდერძის ერთგულებისა და მოწამებრივის გმირობისაგან.—თავ-განწირულებითა აღსავსე ქართველებმა—ამ მუდმივმა ჯვარ-მოსილებმა—სავსებით უერთგულეს თვისს სამღრთო მოვალეობას და ზე-კაცობრიულის თავგამოდებით გადაარჩინეს თვისთა წინაპართა სამკვიდრებელი — მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება და მისი სიწმინდენი მოსლემინთა ველურ ბრბოთა და მათ გაფთრებულ ბელადთა თავ-დასხმისაგან. არა ერთი მეხი დაატყდა თავს ამ კაცობრიობის ჯალათთაგან საქართველოს და მით მეხი იგი თავიდგან აიცილა მან დასავლეთის საქრისტიანო განათლებას.

მრავალ-ტანჯულ ქართველ ერთა ცხოვრება მართლა, რომ ნავი იყო ცხოვნების მსურველთათვის, ზღვა იყო, აღძრული ღელვითა ცოდვისათა".

ვინ აღრიცხავს, რაოდენნი გრიგალნი, რაოდენნი ჭირნი და საშინელნი განსაცდელნი გამოიარა და აიტანა საქართველომ—ამ, დიაღ რომ წამებულთა და მარტვილთა ქვეყანამ! ვითარცა მდაბალნი და მორჩილნი მონანი ქრისტეს ეკკლესიისანი, ქართველნი მოთმინებით დაითმენდნენ ყოველ-გვარს ტანჯვა-ვაებას მაჰმადიანთა ხოშორსა და თითქმის განუწყვეტელ თავ-დასხმის დროს, რადგანაც აქა ჰხედავდნენ მარჯვენას ღვთის განგებისას. ისეთი ქრისტეს მმოსავი გვარგვლობა არ არის საქართველოში, რომ ერთი წამებული არ ეგულებოდეს თვისთა წინაპართა შორის. მე-XVII საუკუნეში, მართლ-მადიდებლობისათვის იმ ძნელსა და გაჭირვებულს დროსა, დროსა ცეცხლისა, მახვილის და ულმობლის მაჰმადიანობისასა, შეუმუსვრელი ჰგიებდა სარწმუნოება ერისა; ჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში გმირნი რაინდნი, რომელნიც ამხნევებდნენ და ამაგრებდნენ ერსა და მოვლენილ ჭირის ატანას უადვილებდნენ. გარნა უფრო მეტად გაუჭირდათ ქართველებს მე-XVII საუკუნეში, როცა მაჰმადიანობამ შეგულიანებულმა და გამხნევებულმა გაფანატიკოსებულის სამღვდელოების მიერ, თვისის მკრეხელობით შესვრილი ხელი დაადო წარსაწყმედად თვით წმიდათა-წმიდა საკურთხეველთა და მოინდომა თვით მართლ-მადიდებელ სამეფოს სატახტო ქალაქში შებილწვა სიონის ტაძრისა, მეჩეთად გარდაქცევა ამ თხუთმეტის საუკუნის საკურთხევლისა. აი სწორედ ამ დროს, თითქოს ღვთის განგებით, გამოჩნდება ნუგეშის მცემელად, მძლეთა-მძლე მფარველად და მოსარჩლედ ქრისტეს წმ. ეკკლესიისა ბრწყინვალე თავადი გივი ამილახვარი. როგორათაც ღრმად მმოსავი, ჭეშმარიტი შვილი მართლ-მადიდებლის ეკკლესიისა გივი ამ, დიაღ რომ დიდ ქრისტიანებისთვის და ქრისტიანობისათვის გაჭირვების დროს, თავს მოუყრის ქართველთ დარბაისელთ, იხმარს ყოველს ღონეს: თხოვნა-ხვეწნა-ვედრებას, მუქარა-ჯავრობას, ირჩევს დატყვევება-ამოწყვეტას, გაიღებს დიდს სასყიდელს და ამნაირის ჭირნახულით და ღვაწლით სულთანის სიონის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების შესახებს ბრძანებაზედ ისაფ ფაშას ახალციხელს ხელს აალებინებს.

სამადლობელად ამისა ტფილელ-ბოლნელ მიტროპოლიტი დომენტი და ერთობილ სიონის ღვთის მშობლის კრებული განაწესებენ 1727 წ. ახალ კვირის შაბათს ყოველის წლისთვის წირვასა და პანაშვიდს გივი ამილახვარის და მის შვილი-შვილთა დაუვიწყებელ მოსახსენებლად. ამის შესახებ მიცემული ჟამთა გასათავებელი უცვალებელი სიგელ-გუჯარი დაისტამბა გაზეთ „ივერიის" ამ წლის 86 ნომერში.

განაჩენი, დადებული მათის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის, საქართველოს ეგზარხოსის, ფლაბიანეს მიერ ყოვლად-სამღვდელო კირიონის, ალავერდის ეპისკოპოსის მოხსენებაზედ: „24 აპრილი 1899 წ. მიეწეროს სიონის საკათედრო ტაძრის კრებულს, რათა ყოველ წლივ კვირაცხოვლობის შაბათს შესრულდებოდეს წირვა და პანაშვიდი მოსახსენებლად სულისა თავადის გივი ამილახვარისა".

ა. ნატროშვილი

## წერილი ქავკავიდგან

25 აპრილს გაიმართა აქ ქართული წარმოდგენა ქ ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით, რომელიც,

---

კრებს: ვაი თუ გოგომ იუაროს ხასად დაჯდომა, ვერ დავიყოლიოთ, ვერ შევიჯერიოთ და მაშინ რაღა წყალსა და ღვარში ჩავვარდე?

— შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მოხუცო, ერთი ჩემამდის კი მომგვარეთ ის შენი ქალი, და მერე მე ვიცი, როგორც მოვწურთნი და მოვარჯულებ. მე კაი კაცო, დათვებსა სწურთნიან და ის ხომ ადამიანია.

— შენ იცი, შენი ჭირიმე, კნიაზო, შენ იცი, როგორც ჩვენი მსხნელ-მფარველი, მეორე ღმერთი გაჰხდები და ჩვენი იმოდენა წვრილფეხა ოჯახობის მაცხოვრებელს გიგის იგრევ უკან მოგვიბრუნებ სატუსაღოდამ, და რა ვიცი, აკი მოგახსენებ, ქალს კი არა, სულსაც არ დაგიჭერ.

— ასე, ჩემო აბრამ-ბეგო, ასე, რასაც გეუბნები, ის იქნება. შენ გასწი ეხლავ, შენს ცოლს ახარე სუყველაფერი და შენი ქალი ამაღამვე აქ მომგვარეთ. ერთი ჭირი მარგებელია, რომ იტყვიან ხოლმე, სწორედ შენს ქალს მოუვა ასეთი მარგებელი საქმე, კნეინა გახდება რაღა!..

— დიახ, შენი ჭირიმე, განა მე-კი არ ვიცი, რო ჩემი ქალი დიდ ბედში ჩავარდება შენთან-რო, მაგრამ დამარიგე, კნიაზო, როგო მოვითათბიროთ და მოვიტყუოთ შენამდინ ი ამოსაგდები გოგო. მე ვიცი ჩვენ არას გაგვიგონებს, რადგანაც ერთი იგეთი რაღაცა ასქიფა აშაქარი, თავნება-კერპი, შატა-ბუტა ჯიუტი, მწვიტინა ანჩხლი, კაპასი და ღვთის პირის მკაწრავი კაპარჩხინაა ის ამოსაწყვეტი, რო ღმერთმა ჩემ მტერსაც აშოროს აიგეთი ჯოჯოხეთის ნაშობი ქალიცა და ვაჟიც.

— ეგ ადვილი მოსახერხებელია: საღამოს ხანს მოვა თქვენთან ჩემი კაცი და გეტყვით: გიგის დედ მამასაც და დასაც კნიაზი გიბარებთ გიგისავე საქმის თაობაზედ. ქალთან-კი ჯერ ნუ გააჩავებთ: კნიაზი ხასად გისვამსო.

— ჰმ! რაზა ჰბრძანებ, მაგას რა გვაუქმევინებს, შენი ჭირიმე, ეგ რო გავაჩავოთ, მაშინვე ცოფიან კატასავით ცხვირ-პირში გვეძგერება, დაგვცოფავს ყველას და ბზობის ყვავივით გადილუპება ჯანაბისაკენ, იგეთი დედამიწა-გასახეთქი რამ არი. მეფიქრება კიდეც: რა ვიცი, ძალიან ღვთის რისხვა, ავსული და ავგული გოგოა, და შენც არა გაწყენინოსრა და არ შეგვარცხვინოს.

— შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო მამილო, ქალები თუ დედაკაცები—თითქმის სულ ე მაგისთანა ცოფიანი ალქაჯები და შხამის გუდა-კაპასები არიან ყველგან ქვეყნიერობაზე. მდაბიურად ნათქვამია: დედაკაცი და ეშმაკი ორივე ერთიაო. დედაკაცის ოხტში ღმერთიც ვერ მოვაო, მარტსა ჰგავ ქალი ლამაზი: დღეში ათჯერ მოირთვებაო, ხან დარია, ხან ავდარი, ხან ქარ-ბუქად გადიქცევაო; მაგრამ კიდევაც გეტყვი: შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მოხუცო, მე იმ შენს ქალს ისე მოვქნი და მოვარჯულებ, რომ სულ „მამაო ჩვენოს" ვაძახებინებ...

— შენ იცი, შენი ჭირიმე კნიაზო, შენ იცი. ამას კი გეხვეწები: ჩემ ქალს რაზა ხასათ ისვამ, როგორც მამა-პაპიდგანვე დადებულია, რამდენიც ფულიც გემეტება იმისათვინა, ამ თავითვე დაუმტკიცე, თორე რა ვიცი, კაცნი ვართ, ჟამთა ვითარებაა, სიკვდილი ყურს-უკან გვიზის ყველას, და ბოლოს რო შენმა შვილებმა ცარიელ-ტარიელი გამოაგდონ ჩემი ხვარამზე— დაიღუპება საცოდავი.

— შე კაი კაცო, იმის ცოდვაში რათ ჩავდგები, ღმერთმა დამიფაროს, აკი გითხარ კიდეც: როცა კი შენი ქალი მოიწადინებს, მე იმას ჩემ სიცოცხლეშივე გავათხოვებ ჩემი ფულ-მზითევით-მეთქი. ამღამაც რომ ვკვდებოდე, ამღამაც კი მოძღვარს დავიბარებ და შენს ქალს ვუანდერძებ—რაც ეკუთვნის. არა, შენ ამაზე არხეინად იყავ, აბრამ-ბეგო, არხეინად. ჰო, ეს უნდა მეთქვა და სიტყვა გამაწყვეტინე: როცა სამნივ ჩემთან შემოხვალთ, მე გეტყვით: ცოლ-ქმარნო, თქვენ კარში მიბრძანდით და მოიცადეთ, ჯერ თქვენს ქალს გამოვკითხო-მეთქი, თქვენც გადით—და ჰერიიი, მოუსვით სახლისკენ, მერე მე ვიცი და იმ თქვენმა ღვთის პირის მკაწრავმა კაპარჩხინა ქალმა, მალე მტერი შენც მოგიკვდეს და მეც მომიკვდეს, მალე მე ის გიჟ მოხზვერიით მოვარჯულო და...

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

თუ არ ვცდები, კავკავს პირველად ესტუმრა. წარმოდგენილ იქნა „ხანუმა", თხზ. ა. ცაგარლისა და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ",—რ. ერისთავისა. პირველი პიესა თუმცა არა ერთხელ დაუდგამთ აქაურ სცენის მოყვარულთ, მაგრამ საკმარისი იყო აქაურებისათვის მარტო სახელის გაგონება ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა, რომ თეატრი სავსებით გავსებულიყო. ორივე პიესამ ჩინებულად ჩაიარა და საზოგადოებაც დიდად ნასიამოვნები დარჩა. არაფერს ვიტყვით ქ. გაბუნია-ცაგარლის თამაშობის შესახებ, რადგანაც მისი შეუდარებელი და შეგნებული თამაშობა ხანუმას როლში ნათლად უწყის ქართველმა საზოგადოებამ. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მისმა თამაშობამ აღტაცებაში მოიყვანა კავკავის ქართველობა. კავკავის ქართველობამ მსახიობ ქალს მრავალი საჩუქარი მიართვა და წარმოდგენის დასრულებამდის თაიგულების სროლით აავსო სცენა.

დანარჩენნი მოთამაშენი იყვნენ ადგილობრივ სცენის მოყვარულთაგანნი, რომელთა შორისაც უპირველესობა ალ. პ. სარაჯიშვილს უნდა დავუთმოთ. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბ-ნი სარაჯიშვილი თითქმის შეუდარებელი იყო აკოფას როლში. მთელი მისი მიხვრა-მოხვრა, მოძრაობა და კილო სისრულით გიყენებდათ თვალ-წინ თბილელ აკოფა-ნოქარს. გარდა ამისა, სრული მადლობელი უნდა ვიყოთ ბ-ნ სარაჯიშვილისა, რადგან ეს წარმოდგენა მისის მოწადინეობითა და დახმარებით გაიმართა. არა უშავდა აგრეთვე ქ-ნ ხ.ხიშვილისას ქაბატუას როლში, ბ-ნ ბოცვაძეს—ტიმოთესაში. დანარჩენ მოთამაშეების შესახებ მადლობის გარდა არა გვეთქმის-რა. ეს-კი უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური მსახიობნი მოკლებულნი არიან კარგს რეჟისორს, ურომლისოდაც საქმის კარგად წაყვანა ძნელია.

ეს წარმოდგენა აქაურ ქართულ სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული. თავისს დროზედ ვაუწყებთ მკითხველებს შემოსავლის რაოდენობასაც.

შ. ფრონელი

## წერილი ლეჩხუმიდგან.

1 აპრილს თავისუფალს სვანეთში გზის მუშაობის დროს, სვანეთის ბოქაულს დალაქიშვილს ერთმა სვანმა თოხი დასცა თავში ყუით და წააქცია; სხვებმაც თითო-ოროლა დაჰკრეს, ისე რომ ბოქაული კარგად გალახული წაიღეს ბეჩოში. დალაქიშვილი ეხლა კარგად არის; დამნაშავე სვანები ცაგერშია დაპატიმრებული. გამოძიება ჯერ არ სწარმოებს, რადგან სვანეთში არ არის ზამთრობით არც მოსამართლე და არც გამომძიებელი.. უბედურება ის არის, რომ სანამ გამოძიება გათავდებოდეს, სვანი უნდა ციხეში იჯდეს და ადვილად შეიძლება ამ ხნის განმავლობაში მოკვდეს კიდეც, რადგან სვანები ვერ იტანენ ხოლმე ციხის დახშულ ჰაერს და ხშირად იხოცებიან.

მეორე შემთხვევა კიდევ ის იყო, რომ აღდგომის მეორე დღეს, სამშაბათს ლეჩხუმში სოფელს ისუნდერს მოჰკლეს აზნაური დუტუ მანდარია. იმიღლეს საწყალს შვილის ნათვლა ჰქონია. კარგად შეზარხოშებულან და საღამოს სტუმრებიანად სათამაშოდ ეკკლესიის კარზედ გასულა. წინათვე შეთქმულობა ჰქონიათ მისსავე გვარის კაცებს და ჩხუბი აუტეხიათ; ჩხუბის დროს ერთს იმათგანს ხანჯალი უკრავს გვერდში, მეორე ამხანაგს-კი წალდი ჩაუკრავს წაქცეულისათვის კბილებში და იქვე სული განუტევებინებიათ. ორივე მკვლელი დაჭერილია და გამოძიება სწარმოებს.

ეხლა ცაგერში არის ქუთაისის ოლქის სასამართლოს დროებით განყოფილება, რომელიც არჩევს ლეჩხუმისა და სვანეთის საქმეებს. განყოფილება შეუდგა საქმეების გარჩევას 26 აპრილს. იმ დღეს გაასამართლა ორი სვანი; ერთი სადადიანო და მეორეც—თავისუფალი სვანეთელი. ორივეს კაცის მკვლელობა ჰბრალდებოდა. სასამართლომ ორთავენი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯეს პირველს პატიმართა როტაში გაგზავნა და ყოველისავე ღირსების ახდა, ხოლო მეორეს—აზნაურ ქორქოლიანს ყოველისავე ღირსების ახდა და ენისეისკის გუბერნიაში გარდასახლება.

ა—ე

# რუსეთი

აზრადა აქვთ, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგის დედათა საექიმო ინსტიტუტთან დაიარსონ კბილის სამკურნალო კაბინეტი. ამ აზრით ს. ფ. ლიმპეკმა შესწირა ინსტიტუტს 6,000 მანეთი.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც „С. О." იუწყება, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს პროვინციებში არსებულ კერძო სასწავლებლებს და საზოგადოთ გაძლიერებულ იქმნას ამ სასწავლებლების კონტროლი.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს დააარსოს რუსეთის სხვა და სხვა ადგილას დაბალი სამკურნალო, საფერშლო, საბებიო და საბეითალო ინსტიტუტები. ეხლა, გაზეთების სიტყვით, სამკურნალო დეპარტამენტი უკვე შესდგომია ამ აზრის განხორციელებას.

— ამა 1899 წლის ხარჯ-აღრიცხვით უწმ. სინოდმა გადასდო 6,477,839 მანეთი სხვა და სხვა სასულიერო სასწავლებლებისთვის (სასწავლებლებისა და მოსწავლეების შენახვა, სახლების აგება სასწავლებელთათვის და სხვა).

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** გენერალი გალიფე თავისს წერილში, რომელიც დაბეჭდილია „Journal des Debats"-ში, ურჩევს საფრანგეთის მთავრობას,—ამარე ქვეყანას ის მსხვერპლი, რომელიც დრეიფუსის საქმემ შეიწირა და ამ საქმეს ეხლა მაინც მოუღე ბოლოო. დრეიფუსიო, სწერს გალიფე, ეშმაკის კუნძულზედ არის, პიკარი—სატუსაღოში, ესტერგაზი გადაკარგნილა საფრანგეთიდგან, ანრიმ თავი მოიკლა, დიუ-პატი-დე-კლამს სამხედრო სასჯელი მოელისო! ნუ თუ საკმარისი არ არის ამოდენა, დამნაშავე და უდანაშაულო, მსხვერპლიო? მხედრობის მტერნი ამით არ კმაყოფილდებიანო, განაგრძობს გალიფე, და თხოულობენ,—პასუხის გებაში მიეცნენ ყველა აფიცრები, გენერლები და სხვანი, რომელნიც ასე თუ ისე გარეულნი არიან ხსენებულს საქმეშიო. არ ემყოფინებათ, ეხლა მაინც დავწყნდეთ? კეთილგონიერება არ მოითხოვს, უფრო კეთილშობილური არ იქმნება, მეტს პატიოსნებაში არ ჩამოვართმევთ, აფიცრებს დაუსრულებლად ათას ჯავრს ცილს არა ვსწამებდეთო? მხედრობა იცნობს მათ; იმან იცის, რომ შესაძლოა ისინი შემცდარიყვნენ, მაგრამ ამასთანავე დარწმუნებულია, რომ ისინი პატიოსნები არიან და ცუდი საქმის ჩადენა აზრად არ აქვთო. ხმა დადის, ამბობს გალიფე, ვითომც მთავრობა შეჰპირებოდეს თავისს ამომრჩევლებს, რომ დამნაშავეთ სასტიკად დასჯიო. გალიფე ურჩევს მთავრობას, ეს ხმები თუ მართალია, თავი დაანებე ასეთს გარდაწყვეტილებას, რადგან ნამეტანის სისასტიკით უფრო ძლიერი ვერ გახდებიო.

მე თითონ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია დრეიფუსის საქმეში და ვფიქრობ, რომ საფრანგეთი იმათზე უფრო მიყვარს, რომელნიც ყოველ მუდამ დღე მხედრობას ლანძღვენ და ამცირებენ ქვეყნის თვალშიო, ათავებს თავისს წერილს გალიფე.

ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის საზოგადოებაზედ, მაგრამ ამასთანავე, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი წინააღმდეგობაც გამოიწვია ზოგიერთ გაზეთების მხრივ. ეს უკანასკნელნი აცხადებენ იმ აფიცერთა სახელებს, რომელთა დანაშაულობა საქვეყნოდ დამტკიცდა და ამიტომ რომელნიც დაუსჯელი არას შემთხვევაში არ უნდა დარჩნენ, მათის აზრით.

—

**იტალია.** როგორც დეპეშამ გვაცნობა, პელუს სამინისტრო უკვე დაეცა და მისი ადგილი სხვამ უნდა დაიჭიროს. ამის მიზეზი იყო გარეშე საქმეთა მინისტრის კანევაროს პოლიტიკის დამარცხება ჩინეთში. რაკი იტალიას იმედები გაუცრუვდა სანმუნის ნავთ-სადგურის შესახებ, მაშინვე ხმა გავრცელდა, რომ კანევარო სამსახურიდგან უნდა გადადგესო, მაგრამ მთელმა სამინისტრომ-კი შეიტანა დათხოვნის ქაღალდი.

როგორც ამბობენ, მეფეს აზრად ჰქონია, ახლის კაბინეტის შედგენა ისევ პელუს მიანდოს. გაზეთების სიტყვა თუ გამართლდა, პელუ ისევ ძველს მინისტრებს მიიწვევს ადგილების დასაჭერად, გარეშე საქმეთა და ზღვათა მინისტრების გარდა. კანევაროს ადგილას ვისკონტი ვენოსტის მიწვევა სდომებია პელუს; იგი ცნობილია, როგორც დახელოვნებული დიპლომატი, და გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი ეჭირა დი-რუდინის კაბინეტში. მაგრამ მეორეს მხრივ ამასაც ამბობენ, რომ ვისკონტი-ვენოსტა არ იღებს ეხლა ამ თანამდებობას, რადგან იგი ბევრს რამეში არ ეთანხმება პარლამენტის უმრავლესობას, რომელმაც არ მოიწონა კანევაროს პოლიტიკაო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** გაზეთების სიტყვით, ავსტრი-უნგრეთის სამხედრო მთავრობას გარდაუწყვეტია, დააჩქაროს მხედრობის უკეთ შეიარაღების საქმე. ახალ სისტემის მსწრაფლ მსროლელ თოფების კეთებას მომავალის წლიდგან შეუდგებიან, ხოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მთელს ავსტრი-უნგრეთის მხედრობას უნდა დაურიგდეს ამგვარი თოფები.

## სასამართლოს მატიანე

სარქის მარტიროზოვის მოკვლის საქმე

(დასასრული *)

გუშინ წინ, 28 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლომ დაამთავრა მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა კონსტანტინე ვართანოვის, ანნა ახშარუმოვისა, სარქისა შახბათოვისა და გეურქა არუთინოვის საქმის გამო. იმავე დღეს, ღამის 12 საათსა და 20 წუთზედ, სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ ცნობილ იქმნენ: კონსტანტინე ვართანოვი (იგივე გიორგობიანი) და ანნა ახშარუმოვისა. სასამართლომ მიუსაჯა პირველს—ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 17 წლითა და 6 თვით კატორგაში გაგზავნა, ხოლო მეორეს—ყოველისავე განსაკუთრებულის უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და 3 წლით საპყრობილეში დაპატიმრება. დანარჩენი ბრალდებულნი-კი, სარქის შახბათოვი და გევურქ არუთინოვი სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო.

—

ქალაქ გორში, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ამ წლის 26 აპრილს გაარჩია საქმე შაქრო გობაძისა, რომელსაც თედო სიდამონიძის მოკვლა ჰბრალდებოდა. ამ საქმის გარემოება ჩვენ მკითხველებს უკვე მოეხსენება. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო შაქრო გობაძე და ყოველივე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევის შემდეგ მიუსაჯა ციმბირის მახლობელ ადგილებში გარდასახლება.

## დამაკვირდი

ჩვენ წავალთ, სხვათ დარჩების მამული, ჭირნახული.

როსტომიანი

* * *

მოგვკლინება კატა, თაგვიას და გოდი, გაგძორდება, სამსალაა სასიკვდინე.

ლასურიძე

* * *

უკეთუ ჭკვიანი აღმოიფხვრას ანუ უანა თაკ წარსხმული მოიშაბა, წყლმან და ჩალამან სადაა ქმნას ნაყოფი კეთილი?

სულხან საბა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ამერიკის შეერთებულის შტატების მთავრობის მიერ შეკრებილის ცნობებიდგანა სჩანს, 1897 წელს მთელ დედამიწის ზურგზედ აღმოუჩენიათ სულ 237 მილიონ დოლლარის (დოლლარი დაახლოვებით 2 მანეთია) ოქრო, ხოლო 1898 წ. 290 მილიონ დოლლარისა. ოქროს მადნებით განსაკუთრებით მდიდარია აფრიკა, შეერთებული შტატები, ავსტრალია, რუსეთი, კანადა, მექსიკა და ინდოეთი. აი სხვა-და-სხვა ქვეყანაში რამდენ დოლლარის ოქრო აღმოუჩენიათ 1897—98 წლებში.

| | 1897 წ. | 1898 წ. |
|---|---|---|
| ამერიკის შეერთებული შტატები | 59.210,795 | 64.300 000 |
| კანადა . . . | 6.190,000 | 14.190,000 |
| ნიუ-ფაუნდლენდი | 62,010 | 62,010 |
| მექსიკა . . . | 7.121,189 | 7.668,866 |
| შუაგული ამერიკა . . . | 525,000 | 525,000 |
| არგენტინა . . | 314,907 | 314,907 |
| ბოლივია . . | 65,000 | 65,000 |
| ბრაზილია . . | 1.462,120 | 1.750,000 |
| ჩილი . . . | 1.407,544 | 1.407,544 |
| კოლუმბია . . | 3.900,000 | 3.900,000 |
| ეკვადორი . . | 132,900 | 132,000 |
| ბრიტანიის გვიანა . . . . | 2.098,098 | 1.661.393 |
| ჰოლანდიის გვიანა . . . . | 611,748 | 584 421 |
| საფრანგეთის გვიანა . . . . | 1.237,310 | 1.376,477 |
| პერუ . . . | 119,628 | 119,628 |
| ურაგვაი. . . | 114,600 | 114,600 |
| ვენესუელა . . | 814,057 | 814,067 |
| ავსტრი-უნგრეთი | 2.178,566 | 2,178,566 |
| საფრანგეთი . | 217,304 | 217,364 |
| გერმანია . . | 1.872,357 | 1.879,357 |
| იტალია . . | 213,431 | 213,441 |
| შვეცია . . . | 76,524 | 76,524 |
| ნორვეგია . . | 13,508 | 13,508 |
| რუსეთი . . | 21.538,490 | 25,136,994 |
| ოსმალეთი . . | 8,000 | 8,105 |
| შეერთებული სამეფო . . . | 42,001 | 42,001 |
| ჩინეთი . . . | 6.641,190 | 6.641,100 |
| ინდოეთი . . | 7.299,554 | 7.753,150 |
| იაპონია . . | 713,300 | 713,300 |
| კორეა . . . | 721,765 | 721,762 |
| მალაის ნახევარკუნძული . . | 516,760 | 516,760 |
| ბორნეა . . | 100,000 | 100,000 |
| ვიტვატერსრანდი | 51.913,607 | 73,476,600 |
| სამხრეთ აფრიკის სხვა ადგილები . . . | 4.805,702 | 4.744,360 |
| დასავლეთ ნაპირები . . . | 501,793 | 501,793 |
| როდეზია . . | — | 206,700 |
| მადაგასკარი . | 400,000 | 400,000 |
| ავსტრალია . . | 52.059,338 | 61 480,763 |
| სულ | 237,332,456 | 286,218,954 |

*) იხ. „ივერია" № 88.

* * *

საფრანგეთის საზოგადო სამუშაოთა სამინისტრომ ამას წინად გამოსცა ანგარიში ევროპის ყველა სახელმწიფოში 1897 წლამდე რკინის გზების მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, 1897 წელს ევროპის ყველა რკინის გზების სიგრძე ერთად აღებული შეადგენდა 263,745 კილომეტრს (კილომეტრი—468,7 საჟენია) აქედგან ხსენებულ წელს გერმანიის რკინის გზების სიგრძე შეადგენდა 48.116 კილომეტრს, საფრანგეთისა—41,342 კილ., რუსეთისა—40,262, ინგლისისა—34,445 ავსტრი-უნგრეთისა—33,668, იტალიისა—15,643, ესპანიისა—12,916, შვეციისა—10,169, სხვა სახელმწიფოთ—26,584.

ამ რიგად პირველი ადგილი რკინის გზების სიგრძით გერმანიას უჭირავს. შემდეგ საფრანგეთს, რომელსაც რუსეთი მისდევს. რუსეთს თუმცა რკინის გზების სიგრძით მესამე ადგილი უჭირავს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოს ადგილმდებარეობის სივრცეს, მაშინ იგი ბევრით ჩამორჩება სხვა სახელმწიფოებს. ამ მხრივ პირველობა ბელგიას ეკუთვნის. მცირე ადგილზედ იქ მრავალი რკინის გზაა გაყვანილი.

* * *

საზოგადოდ ცნობილია, რომ ხე დიდხანსა ხარობს და სცოცხლობს. ზოგიერთის ჯიშის ხე მთელ საუკუნოებს სცოცხლობს. ისეთი ჯიშის ხე იშვიათია, რომლის წლოვანებაც 100 წელიწადზე ნაკლები იყოს. ერთს ჟურნალში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ სხვა-და-სხვა ჯიშის ხეს რამდენი წლის სიცოცხლე შეუძლიან. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, არყის ხე 480 წლამდე მიაღწევს ხოლმე. ფორთოხლის ხე—620 წლამდე, ალვის ხე—800 წლ., ზეთის ხილის ხე—800, ჭანდარი—1,000, ცაცხვი—1,100, ნაძვი—1,200, მუხა—1,500, ლიბანის ნაძვი (კედრი)—2,000, ურთხელა—3,200. ამათ გარდა არის ისეთის ჯიშის ხეც, რომელიც 6,000 წლამდე სცოცხლობს და ხარობს თურმე.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად დანიშნულ ფონდის სასარგებლოდ შეკრებილი: იოსებ სოლომონის ძის მოსულიშვილისა, ვანო გოგლიძისა, ლაზარე სხირტლაძისა და იაკობ ობოლაშვილის მიერ 42 მ. და 55 კაპ.

შემომწირველნი არიან: იოსებ მოსულიშვილი 1 მ., ვანო გოგლიძე 1 მ., ლაზარე სხირტლაძე 1 მ., იაკობ ობოლაშვილი 1 მან., ხარიტონ ჯობავა 1 მ., ვასილ ჩუბინიძე 1 მ., კირიაკე ბარბაქაძე 1 მ., საქელ არუთინოვი 1 მ., იაკობ ყაითმაზაშვილი 1 მ., სოსიკო კერესელიძე 1 მ., ეფრემ ბრეგვაძე 1 მ., მელქია ბრეგვაძე 1 მ., ტიტე ცხოვრებაშვილი 1 მ., დავით მატინაშვილი 1 მ., მიხეილ ჩუბრუკიძე 1 მ., თომა გოგლიძე 1 მ., ოქრო სამხარაძე 1 მ., სიმონ გაბრიჩიძე 1 მ., სპირიდონ გორდელაძე 1 მ., სოფრომ სხირტლაძე 1 მ., არტემ ტერ-არუთინოვი 1 მ., იოსებ კეპალიშვილი 1 მ., დავით მაიმაშვილი 1 მ., გერასიმე 1 მ., თომა გოგლიძე 1 მ., მიხეილ კაპულიძე 2 მ., იოსებ გველესიანი 1 მ., ნესტორ სულაძე 50 კ., პეტრე სურმანი 50 კ., ალექსი კობახიძე 50 კ., მირონ კვირესელიძე 50 კ., სიმონ ჯობავა 50 კ., ვანო ნაცვლიშვილი 50 კ., ფარნაოზ ანდღაძე 50 კ., სიმონ სულაძე 50 კ., ილიკო ბერუხაშვილი 50 კ., ასლან ლანდია 50 კ., ნესტორ ნადიროვი 50 კ., რაფიელ ელიკიძე 50 კ., ივანე რამიშვილი 50 კ., მარკოზ სხირტლაძე 50 კ., სოფრონ კირვალიძე 50 კ., კოწია ბარამიძე 50 კ., ალექსი მატიკაშვილი 50 კ., გიგო კირვალიძე 50 კ., მელიტონ ნემსაძე 50 კ., გოგლიძე 50 კ., თადეოზ ბაქრაძე 50 კ., დავით არჩვაძე 50 კ., სიმონ ჯაფარიძე 50 კ., ზურაბ გორგობიანი 40 კაპ., სანდრო 40 კ., ილია აბრამიშვილი 30 კ., სანდრო შელიავა 20 კ., ვასილ მეტრეველი 20 კ., არტემ იმანაზოვი 20 კ., ისაკ ხანაძე 20 კ., ვიქტორ ჯაფარიძე 20 კ., იოსება 20 კ., სანდრო ვედეშვილი 20 კ., ლუარსაბ გორგობიანი 20 კ., წულობა გოგლიძე 20 კ. და დავითი 15 კ., სულ 42 მან. 55 კ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აღიკრძალოს ცალკე ნომრობით გაყიდვა გაზეთ „რუსკი ლისტოკისა“.

დღეს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „როსსიისა“, სასახლის რედაქტორობით.

**სოფია.** ბოლგარიის წარმომადგენლობა შეიარაღების შეკვეცის შესახებ დანიშნულ კონფერენციაში იქმნებიან: ბოლგარიის აგენტი პეტერბურგში სტანჩევი და სამხედრო აგენტი ბოლგარიის სააგენტოსთან ბელგრადში კრაპჩევი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლორდები შეეკითხა მთავრობას, ინგლისისა და რუსეთის მიერ უწინდებურ დადებულ ნოტაში განსაზღვრული არის თუ არა მდინარე იან-ცზე-კიანგის ხეობის მიჯნები, და თუ არ არის, აზრათ აქვს თუ არა მთავრობას მოითხოვოს, ისეთივე უფლებანი ჰქონდეს იან-ცზე-კიანგის ხეობაში, როგორიც რუსეთს აქვს მინიჭებული „დიდ კედლის“ ჩრდილოეთ მხარეს; აგრეთვე ისიც თუ ისე, გაუქმებულ ხომ არ არის, ტიანძინის ხელშეკრულობაზე დამყარებული ინგლისის უფლებანი ხსენებულ კედლის ჩრდილოეთ მხარეს. ბროდრიქმა უპასუხა, რომ იან-ცზე-კიანგის ხეობა იმ კედლებზედ არის განსაზღვრული, როგორც ამ მდინარეს სახვრავი ხომანისა და რეკიანის პროვინციები. რაც შეეხება იმას, თუ რა უფლებებს უცხადებს საბჭოს შემდეგ დაწვრილებითი ცნობების გადმოცემა ამ საგნის შესახებ არ შემიძლიან. იან-ცზე-კიანგის ხეობის შესახებ ბრიტანიის მთავრობა ახლა ჰფიქრობს, რომ არც ერთი ნაწილი ამ ადგილისა არ დაგირავდეს და არც იჯარით გაიცეს, ანუ რაიმე სხვა წესით გარდაეცეს სხვა სახელმწიფოს. ხელშეკრულობაზედ დამყარებული ინგლისის უფლებანი დიდის კედლის ჩრდილოეთ მხარეს გაუქმებული არ არის.

**პეტერბურგი.** 28 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა გვარდია და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარები. მშვენიერი დარი იდგა. საუცხოვო საყურებელი იყო. სამეფო კარავიდგან პარადს უყურებდნენ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული, პრინცესა ელენე გიორგის ასული საქსენ-ალტენბურგისა და უფლისწულები ყრმანი დიდის მთავარ კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა. პარადის შემდეგ, პრინცის ოლდენბურგსკის სასახლეში გამართა საუზმე. საუზმის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი დაბრუნდა ცარსკოე სელოში.

**ხარკოვი.** დღეს უნივერსიტეტში დაიწყო ეგზამენები განსაკუთრებულ ჰერიონულ კომისიაში, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორის აღმწყევის თავჯდომარეობით. ეგზამენების დაწერა ითხოვა 85 კაცმა.

**რომი.** პროვინციების რამდენიმე გაზეთში დაბეჭდილია ახალ მინისტრთა სია: პელუ—მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვისკონტი—ვენოსტა—გარეშე საქმეთა მინისტრი, სალანდრა—ხაზინის მინისტრი, ბოზელი—ფინანსების, პალბერტი—იუსტიციისა, ლაკარა—საზოგადო მუშაობისა, ბაჩელ—საერო განათლებისა, ბეტოლო—ზღვათა, მირრი სამხედრო.

**ვენა.** რუსეთის სამხედრო რწმუნებული პოლკოვნიკი ვოროჟინი წავიდა დღეს დილით პლევლიეში, რათა, რუსეთის იმპერატორის მინდობილობით, გარდასცეს ქვეითა ჯარის პოლკს № 2, რომლის მეფია ხელმწიფე,—მისის უდიდებულესობის სურათი, რომელიც პოლკის პოლკოვნიკის მუნდირით არის და წმ. სტეფანეს ლენტი აქვს.

**პარიჟი.** „Echo de Paris“ გვარწმუნებს, რომ ბალო-ბოპრე წარადგენს თავისს მოხსენებას 8 მაისს, კამათი დაიწყება 17 მაისს, უფროსი ბრალმდებელი რეკვიზიტორიას წარმოსთქვამს 18 მაისს, ბორნარი დასაცველს სიტყვას წარმოსთქვამს 19 მაისს, განჩინება დადგენილ იქმნება 20 მაისსა. სხვა გაზეთების სიტყვით, განჩინება დადგენილ იქნება 23 მაისს.

29 აპრილი

**პარიჟი.** პირველი დიდი ოფიციალური სადილი ფორის გარდაცვალების შემდეგ გამართულ იქმნა ელისეის სასახლეში დღეს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ქ-ნ ლუბეს მიერ. დაესწრნენ უცხო სახელმწიფოთა ელჩები.

### წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ბ-ნ იოსებ ლეჟავას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ თხილთაწყაროს საეკლესიო სამრევლო სკოლის წიგნთ-საცავს შემოსწირა ოცდაოთხი ცალი წიგნი სასულიერო შინაარსისა, ღირებული სულ არა ნაკლებ ორი მანეთისა.

თხილთაწყაროს საეკლესიო სკოლის მმართველი მღ. მ. ბუაჩიძე


### განცხადებანი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ ვენახის წამლობისათვის სხვა და სხვა ნივთიერება და იარაღები ისყიდება შემდეგ ფასებში.

ტფილისში—შაბიამანი 4 მან. 10 კ. ფუთი. გოგირდი 1 მ. 90 კ. ფ. პულვერიზატორი ვერმორელისა 12 მ. 50 კ. ტორპილი ვერმორელისა 9 მ. საბერველი ლიაგლეზისა 1 მან. 80 კ. პარიჟის მილახი 40 კ. გირვ.

თელავისა და სიღნაღის საწყობებში ისყიდება:

შაბიამანი 4 მ. და 50 ფუთი, გოგირდი—2 მ. 20 კ. ფ. პულვერიზატორი ვერმორელისა 12 მ. 75 კ. ტორპილი ვერმორელისა 9 მ. 50 კ. (3—6.—3)

სურდოს წამალი
ოლფაქტორიუმ ნუდილინი
მ. ნ. ქიმუნსკისა
ისყიდება 40 კაპეიკად ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (12—10)

სააქციონერო საზოგადოება
„არტურ კოპპელ“
პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 1.
განყოფილებანი: მოსკოვსა, ვარშავსა, ოდესსა, ვლადივოსტოკსა და ჰელსინგფორსში.
რელსები
თვლების დასაქანებლები
ისრები
მოსაბრუნებელი რგოლები
ვაგონები
ორთქლ-მავალები
მანქანები
ქვაბები
კოპრები
ონკანები
ლებედკები
ელევატორები
ტვირთის ასაწ. მანქანები
საკონდენსაციო მანქანები
ფულის შაფები
და სხვა და სხვა
კატალოგები, ხარჯთ-აღრიცხვა—უსასყიდლოდ.
(1—6.—1).


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცნობებს ქ. ტფილისში უძრავ ქონებათა პატრონებს, რომ ამ 1899 წლის 15 აპრილისათვის მის მიერ შედგენილია გასანაწილებელი სია უძრავ ქონებათა საერო გადასახადის გაწერის თაობაზე. ეს გადასახადი დაწესებულია სახელმწიფო საბჭოს 1898 წლის 30 მარტის უმაღლესად დამტკიცებულის აზრის თანახმად.

1899 წლის გადასახადს ჯამს შეადგენს 60,620 მან. და გადასახადის აკრეფის ხარჯად ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2600 მ., რომელიც თანახმად მიწებზედ დაწესებულ გადასახადის დებულების მე-13 მუხლისა, უნდა გამოერთვათ მამულის პატრონთ, რომელთაც გარდასახადი აქვთ გაწერილი.

გარდა ამისა, წარსულ 1898 წ., თანახმად ტფილისის საგუბერნიო ხაზინის გამოგზავნილ ხარჯის ფურცლისა, გაწერილი იყო ქალ. ტფილისის უძრავ მამულებზე—68529 მან. 52 კ.

ხოლო ტფილისის საგუბერნიო სამმართველოდგან მიღებული მოწერილობიდგან მდგომარე წლის 9 იანვრიდგან № 280 სჩანს, რომ წარსულ 1898 წ. ქალაქ ტფილისის უძრავ მამულებზე უნდა გაწერილიყო—59587 მან. და 50 კაპ. რის გამოც წარსულ წელს მეტად გაწერილი ფული—8942 მან., 2 კ., რომელიც უკვე გამორიცხულია საგუბერნიო ხაზინის ანგარიშიდგან, უნდა გამორიცხულ იქმნას აგრეთვე იმ მამულების ანგარიშიდგანაც, რომელთაც 1898 წელს გაეწერათ აღნიშნული ხარჯი.

1899 წ. დასაფასებელ სიაში შეტანილი ქ. ტფილისის უძრავ მამულების ღირებულება, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ქალაქის მამულები დაფასებულია, გადაწყვეტილია 41.346,278 მან. (მეტი შედარებით 1898 წელს 1 887,489 მან.), მაშასადამე ამ გადასახადის რაოდენობა იქნება:

| 1899 წლის. | | | | | | | | | | | | | | | | | | 1898 წლის. | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასაფასებელი ჯამი. | ახალი გარდასახადი | | გარდასახადის აკრეფ. ხარჯ. | | სულ. | | დასაფასებელი ჯამ. | ახალი გადასახადი. | | გარდასახადის აკრეფ. ხარჯ. | | სულ. | | დასაფასებელი ჯამი. | კამოსარიცხი ხარჯ. | | დასაფ. ჯამი. | კამოსარიცხი ხარჯ. | |
| მანეთი. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მან. | კაპ. | მანეთი. | მან. | კაპ | მან. | კაპ. | მ. | კ. | მანეთი. | მან. | კაპ | მან. | მან. | კაპ. |
| 100,000 | 146 | 62 | 6 | 29 | 152 | 91 | 700 | 1 | 03 | — | 04 | 1 | 07 | 100,000 | 22 | 67 | 700 | — | 16 |
| 80,000 | 117 | 30 | 5 | 3 | 122 | 33 | 500 | — | 73 | — | 03 | – | 76 | 80,000 | 18 | 14 | 500 | — | 11 |
| 50,000 | 73 | 31 | 3 | 15 | 76 | 46 | 300 | — | 44 | — | 02 | – | 46 | 50,000 | 11 | 34 | 300 | — | 7 |
| 30,000 | 43 | 99 | 1 | 89 | 45 | 88 | 100 | — | 15 | — | 01 | – | 16 | 30,000 | 6 | 80 | 100 | — | 2 |
| 15,000 | 21 | 99 | — | 94 | 22 | 93 | 80 | – | 12 | — | 01 | – | 13 | 15,000 | 3 | 40 | 90 | — | 2 |
| 10,000 | 14 | 66 | — | 63 | 15 | 29 | 50 | — | 7 | — | — | – | 7 | 10,000 | 2 | 27 | 80 | — | 2 |
| 8,000 | 11 | 73 | — | 50 | 12 | 23 | 40 | — | 6 | — | — | — | 6 | 8,000 | 1 | 81 | 60 | — | 1 |
| 6,000 | 8 | 80 | — | 38 | 9 | 18 | 30 | — | 4 | — | — | — | 4 | 6,000 | 1 | 36 | 50 | — | 1 |
| 4,000 | 5 | 86 | — | 25 | 6 | 11 | 10 | — | 01 | — | — | — | 01 | 4,000 | — | 91 | 40 | — | 1 |
| 2,000 | 2 | 93 | — | 13 | 3 | 06 | 9 | — | 01 | — | — | — | 01 | 2,000 | — | 45 | 30 | — | 1 |
| 1,000 | 1 | 47 | — | 06 | 1 | 53 | 5 | — | 01 | — | — | — | 01 | 1,000 | — | 23 | 20 | — | — |
| 900 | 1 | 32 | — | 06 | 1 | 48 | — | — | — | — | — | — | — | 900 | — | 20 | 10 | — | — |

**მაგალითი:** ამ გვარად, 8745 მან. დაფასებულს მამულს გაეწერება გადასახადი 12 მან. 83 კაპ., (8000 მან.—11 მან. 73 კ., 700 მან.—1 მან. 03 კ., 40 მან.—06 კ. და 5 მან.—01 კაპ., სულ 12 მან. 83 კაპ.) და გადასახადის აკრეფის ხარჯი—54 კ. (50 კ.+04 კ.=54 კ.); 56,538 მან. დაფასებულს მამულს—სახელმწიფო ხარჯი 82 მან. 89 კ., 73 მან. 31 კ.+8 მან. 80 კ.+73 კ.+04 კ.+01 კ.=82 მან. 89 კ.); და გადასახადის აკრეფის ხარჯი—3 მან. 56 კ. (3 მან. 15 კ.+38 კ.+03 კ.=3 მან. 56 კ.), ე. ი. ახალი გადასახადი ერთად აკრეფის ხარჯით ნაკლებია ქალაქის დასაფასებელ გადასახადზე თითქმის $^1/_5$-დით.

უძრავ მამულების ახალ გარდასახადს შორის ის განსხვავება არის, რომ ახალი გარდასახადი არ გაეწერება:

1) იმ ქალაქის განაპირა მყოფ ცარიელ მიწებს, რომელიც არავითარს შემოსავალს არ იძლევა (მიმართულება იმ მიჯნისა, რომელიც ქ. ტფილისის შუა ადგილებსა ჰყოფს ქალაქის ნაპირი მიწებისაგან, ნაჩვენებია დაწვრილებით 1889 წ. გაზეთ „კავკაზის“ 114 №ში).

2) იმ მცირე ფასიან მამულებს, რომელსაც გადასახადი 25 კაპ. ნაკლები შეხვდება (განაწილებულ სიით სულ უმცირესი ფასი ცალკე მამულისა ამ 1899 წ. 170 მან.).

3) სახელმწიფო მამულებს.

უფრო დაწვრილებით ცნობის შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში, სადაც ერთის თვის განმავლობაში განცხადების დაბეჭდვიდამ გაზ. „კავკაზში“ მიღებული იქნება თხოვნა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ასეთის განაწილებით კმაყოფილნი არ არიან.

ვადის ერთის თვის გასვლის შემდეგ ქალაქის გამგეობა განაწილებულს სიას წარუდგენს ქალაქის საბჭოს და აგრეთვე უძრავ-ქონებათა პატრონთა თხოვნას გადასახადის შესახებ და გამგეობის პასუხს. დამტკიცდება თუ არა განაწილებული სია საბჭოსაგან, ქალაქის გამგეობა დაუყოვნებლივ დაურიგებს უძრავ ქონებათა პატრონებს ფურცელთ, რომელშიაც საბოლოოდ იქნება აღნიშნული, თუ რომელ ქონებას რა გადასახადი გაეწერა.

(1-ნ.-1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Апрѣля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე